ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1602972

ნომერი: AR1262924

თარიღი : 03.11.2014

გაცემის თარიღი : 24.11.2014

გაცნობის თარიღი : 25.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N 68 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 23 ივლისის #1402371 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 3 ნოემბერს #AR1262924 განცხადებით მომართა დავით ლოსაბერიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 23 ივლისის #1402371 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2014 წლის 23 ივლისის #1402371 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, ქეთევან წამებულის გამზ. №68-ში, ამხანაგობა ,,ქეთევან წამებულის 68"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ბრძანებაში არასწორად არის დაფიქსირებული კომერციული, საზაფხულო, დამხმარე, ავტოსადგომისა და საერთო ფართის მაჩვენებლები.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს დავით ლოსაბერიძის 2014 წლის 3 ნოემბერს #AR1262924 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 23 ივლისის #1402371 ბრძანებაში. კერძოდ, დაფიქსირდეს:
საერთო ფართობი - 17361.8 კვ.მ.
კომერციული ფართობი – 1596.1 კვ.მ.
საზაფხულო ფართობი – 1594.3 კვ.მ.
დამხმარე ფართობი – 643.3 კვ.მ.
ავტოსადგომის ფართობი – 2043.3 კვ.მ.
3. 2014 წლის 23 ივლისის #1402371 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 23 ივლისის #1402371 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
